საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 983-03
12/03/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის
გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის საფუძველზე და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2018 წლის 9 მარტის N4093-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართი უნივერსიტეტის თანამონაწილეობით განხორციელებული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პროცედურების შესახებ.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს ამ წესის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ბრძანება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციის სამდივნოს.

გიგა ზედანია

რექტორი